

58. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 2 ოქტომბრის № 476 ბრძანებულებით გაგრძელებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე, 2008 წლის 16 ოქტომბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საომარი მდგომარეობის ვადამდე გაუქმებისა და საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 3 სექტემბრის # 424 ბრძანებულებით გამოცხადებული და „საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 სექტემბრის # 452 და „საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 2 ოქტომბრის # 476 ბრძანებულებებით გაგრძელებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად თანხმობა მიეცეს საქართველოს პრეზიდენტს „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საომარი მდგომარეობის ვადამდე გაუქმებისა და საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 3 სექტემბრის # 424 ბრძანებულებით გამოცხადებული და „საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 სექტემბრის # 452 და „საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 2 ოქტომბრის # 476 ბრძანებულებებით გაგრძელებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე 2008 წლის 31 ოქტომბრამდე საქართველოს შემდეგ ტერიტორიებზე:

- გაგრის რაიონი;
- გუდაუთის რაიონი;
- ქ. სოხუმი და სოხუმის რაიონი;
- გულრიფშის რაიონი, მათ შორის, აჟარის თემი (აჟარა, გენწვიში, ჩხალთა);
- ტყვარჩელის რაიონი;
- ოჩამჩირის რაიონი;
- გალის რაიონი;

- ქ. ცხინვალი და ცხინვალის რაიონი, მათ შორის, ქურთისა და ერედვის თემები;

- ჯავის რაიონი;

- ზნაურის რაიონი;

- ახალგორის რაიონი;

- საჩხერის რაიონის სოფელი პერევი.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე

თბილისი, 2008 წლის 16 ოქტომბერი.

(საქართველოს პარლამენტის არქივი)